უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა

1. **პროგრამის დასახელება –** ტურიზმის მარკეტინგული კომუნიკაციები (Tourism Marketing Communications)

2. **პროგრამის მოცულობა** - 12 ECTS.

3. **პროგრამის ხანგრძლოვობა** – 2 თვე.

4. **პროგრამის განხორციელების ადგილი** – თსუ, ტურიზმის საერთაშორისო სკოლა (უნივერსიტეტის ქ. #2).

5. **პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა –** 10 - 25 კაცი.

6. **პროგრამაში ჩართვის წინაპირობები -** სრული ზოგადი განათლება და ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ B დონეზე), დარგში მუშაობის გამოცდილება.

7. **პროგრამის ღირებულება –** 600 ლარი.

8. **პროგრამის მიზანი**

   „ტურიზმის მარკეტინგული კომუნიკაციები“ წარმოადგენს ტურიზმის სპეციალისტების გადამზადებისა და პროფესიული კომპეტენციების მოკლე ვადაში განვითარება–გაღრმავებაზე ორიენტირებულ პროგრამას. მისი მიზანია სტუდენტისათვის ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი მარკეტინგული უნარ-ჩვევების სწავლება, რაც შესაბამის გამოცდილებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ტურისტული საწარმოებსა და განთავსების ობიექტებში დასაქმებულთა მიერ მარკეტინგული საქმიანობის წარმატებით წარმართვასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების დახვეწას.

9. **სწავლის შედეგები**

   პროგრამის მონაწილენი შეიძენენ ცოდნას: ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის შესახებ, საერთაშორისო ტურიზმის ოპერირებასა და პროცედურებზე,

მომხმარებლის მომსახურების მენეჯმენტზე და სხვ. გამოიმუშავებენ: კომპეტენტურად მოქმედების უნარ-ჩვევებს ტურიზმის მარკეტინგისა და გაყიდვების ამოცანების გადაწყვეტისას; სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს; პრობლემის გადაჭრის უნარს ორიგინალური მიდგომის მეშვეობით.

10. პროგრამის კურსები

საერთაშორისო ტურიზმი, ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი, საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები, რეკლამის პრინციპები.

11. დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები შეძლებენ იმუშაონ შემდეგ პოზიციებზე: ფილიალის ან მცირე სამოგზაურო სააგენტოს მარკეტინგის მენეჯერად, გაყიდვების სპეციალისტად, ტურისტული ჯგუფის კოორდინატორად, ტურისტული პროდუქტის ზედამხედველად.

12. სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები

სერტიფიკატის მისანიჭებლად საკმარისია ყველა კურსში სათანადო კრედიტის მიღება. სერტიფიკატში მითითებული იქნება კრედიტები და დახარჯული საათები. სერტიფიკატი გამოდგება შეძენილი კომპეტენციების დასადასტურებლად.

13. პროგრამის ანალოგები

- **Florida International University (USA) –** http://hospitality.fiu.edu/certificate_programs_non-degree_students.asp

14. პროგრამის ხელმძღვანელი – პროფ. მაია მარგველაშვილი.